სს ნიკორა
ს/კ 200050675
contact@nikora.ge
+995 32 269 55 50/51
საქართველო, თბილისი
0180, ა. მრევლიშვილის ქ. #2
www.nikora.ge

№ .....

.....

N: LNJ-06.01.2023-1
06 იანვარი 2023 წელი

შეტყობინება
სააქციო საზოგადოება ,,ნიკორა"-ს (ს/კ 200050675)
აქციონერთა მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

ქ. თბილისი
06 იანვარი 2023 წელი

- **საზოგადოების დასახელება/მისამართი:**

სს ,,ნიკორა" (ს/კ 200050675), მისამართი: თბილისი, ა.მრევლიშვილის N2.

- **მოწვევის დრო/ადგილი:**

2023 წლის 27 იანვარს 14:00 საათზე, მოიწვევა სს ,,ნიკორას" აქციონერთა მორიგი საერთო კრება. საერთო კრების მოწვევის ადგილია, სს ,,ნიკორას" იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ა.მრევლიშვილის N2.

აქციონერები უფლებამოსილები არიან მითითებულ დროს უშუალოდ დაესწრონ საერთო კრებას ან/და გამოყენებულ იქნას წესდებით გათვალისწინებული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები, რაზეც წინასწარ უნდა შეატყობინონ კომპანიის ხელმძღვანელ პირს შესაბამისი მზაობისთვის. თავიანთ ტექნიკურ უზრუნველყოფას თითოეული აქციონერი განახორციელებს დამოუკიდებლად.

- **საღრიცხვო თარიღი:** საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება აქვთ სააღრიცხვო დღისთვის. საერთო კრების სააღრიცხვო თარიღია **2023 წლის 18 იანვარი.**

აქციონერის, საერთო კრების მოწვევის თარიღისთვის კუთვნილი აქციათა და ხმების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან _ ს.ს ,,საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტარტორი", მისამართი: თბილისი, მოსაშვილის N11 ან აქციონერი უფლებამოსილია მიმართოს სს ,,ნიკორას" ხელმძღვანელს, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ გაცემული ინფორმაციის წარმოდგენისთვის.

- **საერთო კრების დღის წესრიგი:**
  1. სს ,,ნიკორას" 2022 წლის ფინანსური შედეგების განხილვა;
  2. სს ,,ნიკორა"-ს გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი წინადადების განხილვა, სს ნიკორას ჩვეულებრივი კლასის აქციების მფლობელ აქციონერებზე დივიდენდის განაწილების შესახებ;
  3. სს ,,ნიკორას" 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხის განხილვა;
  4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პრემირების საკითხის განხილვა;

- **საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის პროცურები:**

საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შესაძლებელია პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით. საერთო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად საჭიროა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ხმის მიცემის

უფლების განხორციელება შესაძლებელია საერთო კრებაზე დასწრებით ან/და წესდებით დადგენილი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით.

- **საერთო კრების გახსნამდე რეგისტრაცია:**

საერთო კრების გახსნამდე, 14:00 საათამდე ტარდება საერთო კრებაზე გამოცხადებული აქციონერების (მათი წარმომადგენლების) რეგისტრაცია (აქციონერი, რომელმაც რეგისტრაცია არ გაიარა, ქვორუმის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება და მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება).

სს ,,ნიკორას“

გენერალური დირექტორი:

ირაკლი ბოქოლიშვილი ---------- Irakli Bokolishvili 01024032145 Digitally signed by Irakli Bokolishvili Date: 2023.01.06 10:51:21

06.01.2023